განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღი
14.09.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
12.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) ააიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნების ბაკალავრი აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში ხელოვნების ბაკალავრი მედია ხელოვნებაში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი- პროფესორი, დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გუნია-კუზნეცოვა - ევროსაბჭოს პროექტის "COMPENDIUM Cultural Policies and Trends in Europe" კულტურის პოლიტიკის ნაციონალური ექსპერტი; კულტურსა და სპორტის სამინისტროს კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის წევრი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი,სტუდენტი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შოთა დოგრაშვილი, დამსაქმებელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„GIPA - არის უნივერსიტეტი, რომლის ირგვლივ იკრიბებიან წარმატებული ადამიანები ბიზნესის, მედიის, სამართლის, სამოქალაქო საზოგადოების თუ საჯარო სამსახურის სფეროებიდან, რომლებიც სტუდენტებს მუდმივად უზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას“ - ვკითხულობთ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოთხი სკოლა, მმართველობის, ჟურნალისტიკის, სამართლისა და პოლიტიკის, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა გვთავაზობს პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სხვადასხვა ტრენინგ კურსებს და კონსულტაციებს. დღესდღეობით GIPA 3000-მდე კურსდამთავრებულს ითვლის, რომელთა 90% საქმიანობს საჯარო და ბიზნეს სექტორში, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.
მიმდინარე პროგრამა ხორციელდება ჟურნალისტიკის სკოლაში და იგი რე-აკრედიტაციას გადის. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა;
- მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამა აუდიო-ვიზუალურ და მედია ხელოვნებაში;
- საბაკალავრო პროგრამა ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში;

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა იძლევა კომპლექსურ ცოდნას მულტიდარგობრივ სპეციალიზაციებში, ბაზისურ ცოდნას კულტურასა და ხელოვნებაში. ზოგადსაგანმანათლებლო I კურსის დახურვის შემდეგ სტუდენტები სპეციალიზდებიან :

- მედია ხელოვნებაში - რეკლამა და ქროსმედია კამპანია, გრაფიკული დიზაინი და ციფრული დიზაინი.
- აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში - ინტერაქტიული მედია პროექტები და ვიდეო წარმოება.

2014 წლის დეკემბერში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროექტის დაფინანსების შედეგად უნივერსიტეტში შეიქმნა კომპიუტერული გრაფიკის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია CG MULTILAB at GIPA, სადაც ახალგაზრდები ქმნიან მედია პროექტებს, იდეის გენერაციიდან მის საბოლოო განხორციელებამდე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ინტერვიუირების დროს ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულების პროგრამის განხორციელება მკვეთრად ორიენტირებულ ჟურნალისტიკასა და მენეჯმენტის პროფილით ძლიერ უნივერსიტეტში? - პასუხი განმახორციელებლების მხრიდან იყო - ეს არის მედიასკოლა, ყველაფერი, რაც ინფორმაციის მატარებელია ეს არის მედია ... დღეს ვიცით რა ადგილი უჭირავს ამ დარგს

საზოგადოების ცნობიერებაში. ვიმედოვნებთ, რომ მსოფლიო ბაზრის ნაწილი ვიქნებით და სტუდენტები თავისუფლად დასაქმდებიან არამხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალური მასშტაბით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N 811 4.09.2018 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის 14 სექტემბერს, ვიზიტის წინა დღეს, 13 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 10.00 საათზე და 15.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
13 სექტემბერს, აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა GIPA-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, წამყვან მოწვეულ პერსონალთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან (ფირმების - Watergunz, JWT metro, METRO Production, DDB BetterFly წარმოადგენლები). ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ვიზიტის დასასრულს განხორციელდა ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, რაც ძალზე კონსტრუქტიული დიალოგის სახე მიიღო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის დიდი ჩართულობა, ინტერესი და მოტივაცია პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების პროცესში; ხოლო სტუდენტების და კურსდამთავრებულების მხრიდან სწავლების პროცესში მოლოდინზე მეტი შედეგის მიღება და ინტერნაციონალიზაციის ეტაპზე გამოვლენილი საკუთარი უნარების მაღალი შეფასება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება “ **მეტწილად შეესაბამება** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. GIPA-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებზე.ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნადი, დეფიციტური კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით. GIPA-ს

სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. GIPA-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გაწერილია საკონტაქტო საათები, ამავე დროს გათვალისწინებულია სტუდენტთან სტუდიური /ინდივიდუალური მუშაობა/კონსულტაციები, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსებში კონკრეტული დღეებისა და საათების მითითებით. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს **დამატებითი კონსულტაცია.** დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართვას შემოქედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენელი ფირმის პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში, კონკურსებში, პროექტში (მაგ,: GIPA DOCU).

აღსანშნავია, რომ პროგრამის კურიკულუმს საფუძვლად უდევს Miami AD School, UAL-London college of Communications და MET Film School გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის მიერ შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროს მოთხოვნების შესაბამისი შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების სწავლის პროცესშივე ჩართვა რეალურ პროექტებში ან კონკურსებში (მაგ.: Young Lions Competition, Portfolio Review).

GIPA ორიენტირებულია სწავლების, პრაქტიკული მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების განვითარებაზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ, საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნა GIPA-ს სრული დაფინანსებით პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში (მაგ:ARTESIS PLANTIJN HOGESCHOOL ANTWERPEN), სადაც ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება გმოსცადონ საკუთარი უნარები და გაეცნონ საერთაშორისო სწავლების პრაქტიკას და მეთოდოლოგიას.

GIPA -ს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (CG MULTILAB).
საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური და მოწვეული პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და GIPA -ს ადმინისტრაცია.

GIPA მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რისტვისაც ტარდება ტრენინგები, კონფერენციები, ხორციელდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებზე სპეციალისტთა მივლინენები.

- **რეკომენდაციები**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება “ ექსპერტთა მიერ შემუშავებული იქნა შემდეგი **რეკომენდაციები**:

მეორე სტანდარტის შესაბამისობაში მოსაყვანად

ა) „აუდიო-ვიზუალური ხელოვნების“ მიმართულებაში მე-8 სემესტრის პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაწილის სტუქტურაში მოცემული ფილმების ჩამონათვალი განზოგადდეს - მოიხსნას ჟანრობრივი დაყოფა და განისაზღვროს ასე - „10-15 წუთიანი ფილმი ან ტრანსმედია პროექტი“. ან -

ბ) არსებული „პრაქტიკული კომპონენტის“ სამუშაო ინსტრუქციის უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში „აუდიო-ვიზუალური ხელოვნების“ მიმართულების კურიკულუმში განხორიელდეს საგნების დამატება, ანდა „მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის“ არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავება და კრედიტების/საათების გაზრდა.

პირველი ა) რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, გაიწეროს „პრაქტიკული კომპონენტის“ სამუშაო ინსტრუქცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, უფრო ზოგადი ფორმულირებით, ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში.

ორივე მიმართულებაში გაიწეროს „პრაქტიკული კომპონენტის“ სილაბუსის საკონტაქტო, სტუდიური, ინდივიდუალური საათების რაოდენობა რეალურად განხორციელებული სამუშაოების მიხედვით. კარგი იქნება, თუ სილაბუსში შეიცვლება პროპორცია საკონტაქტო და ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ საათებს შორის და მიუახლოვდება კრედიტების შესაბამის გონივრულ საკონსულტაციო დროს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამის „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება “ განვითარებისათვის გათვალისწინებულ იქნას ექსპერტთა შემდეგი რჩევები:

1. პირველ სტანდარტში სასურველია, პროგრამის მიზნებში ნაცვლად „ფუნდამენტური განათლებისა, დაიწეროს „ფართე განათლება„ ; ხოლო „მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება. *დამოუკიდებელი საავტორი კინოს განვითარებაში საკუთარი გამოცდილების და ჩვლილის შეტანა.* ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში “, შესწორდეს შემდეგნაირად - „მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება და ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში“.
   პროგრამის შედეგების ნაწილში გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტი მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, უფრო ზუსტი და აღწერითი ფორმულირებით, ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში.

2. მეორე სტანდარტის სრული შესაბამისობისათვის, სასურველია მოხდეს პროგრამას ორივე მიმართულებაში კრეატიულ-შემოქმედებითი უნარების გაძლიერება, ასევე

პროექციული და სივრცითი აზროვნების განსავითარებლად/შესაძენად განხორიელდეს კურიკულუმში შესაბამისი საგნების (მაგ.: „გეომეტრიული მოდელირება“, „პლასტიკა“) დამატება.

3. მეოთხე სტანდარტში სასურველია „აუდიო ვიზუალური ხელოვნების“ მიმართულების განვითარებისთვის პროგრამის ამ შტოს ყავდეს სრული პროფესრი უშუალოდ დარგის სპეციალისტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამის „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება “ საუკეთესო პრაქტიკის მნიშვნელოვანი მაგალითია „Portfolio Review Tbilisi“ - დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით განხორციელებადი ღია ღონისძიება. ეს არის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - პორტფოლიო რეიტინგის - გამოყენებას გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შერჩევისას.

ასევე, ექსპერტთა აზრით GIPA -ს ინტერნეტ პლატფორმა https://lmb.gipa.ge წარმოადგენს ამ პროგრამის, და თავად უნივერსიტეტის, ძლიერ მხარეს და უნდა აღინიშნოს, როგორც მისი საუკეთესო პრაქტიკა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამა „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება “ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა 2013 წელს ჩატარებული აკრედიტაციის შემდეგ. კერძოდ, კურიკულუმში კრედიტების განაწილება, არჩევითი და ძირითადი საგნების ლოგიკური წყობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

წინა აკრედიტაციაზე, „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმი # 15, 10.12.2013“ მიხედვით GIPA -ს საბაკალავრი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო სახელწოდებით „ხელოვნება“ , კვალიფიკაციის კოდით 08.

ექსპერტების რეკომენდაციით აუცილებელი გახდა წარმოდგენილი კვალიფიკაციის „ხელოვნების ბაკალავრი“ დაზუსტება სპეციალობის მითითებით „ხელოვნების ბაკალავრი მედია ხელოვნებაში“ და „ხელოვნების ბაკალავრი აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში“, რათა უფრო მკაფიოდ და ადექვატურად ყოფილიყო განსაზრვრული კურსდამთავრებულის კომპეტენციები.

2013 წელს ექსპერტებმა ასევე სხვა რამდენიმე ხარვეზი გამოავლინეს, კერძოდ დარღვევა თვითშფასების ფორმაში, ტექნიკური ხარვეზი კურიკულუმის კრედიტების ჯამში (239 კრედიტი 240 კრედიტის ნაცვლად), სილაბუსებში კვირეების მიხედვით თემების გაწერაში. გარდა ამისა, შენიშვნები გაეცა სხვა უმაღლესებთან გასაფორმებელ მემორანდუმებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელობისა და GIPA -ს ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებულ იქნა ეს მოსაზრებები.

მიმდინარე 2018 წელს, რე-აკრედიტაციაზე წარმოდგენილმა საბაკალავრო პროგრამამ „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება“ წინა აკრედიტაციასთან შედარებით

მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწაში, რაც ბევრად აუმჯობესებს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებული მეთოდოლოგია და „Portfolio Review Tbilisi“ - დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით განხორციელებადი ღია ღონისძიება, რომელიც არის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რე-აკრედიტაციის მნიშვნელოვანი მიღწევაა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისიას თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა წარმოადგენს. მისიის შესაბამისად წარმოდგენილი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამა, მიმართულია მუდმივ განვითარებაზე. თვითშეფასების ანგარიშში ნათლად არის აღწერილი, რომ 2014 წლიდან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2011 წელს შექმნილი Art Factory of GIPA-ს კონცეფციაზე დაყრდნობით. საზაფხულო ბანაკის ფარგლებში მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები და სპეციალისტები უზიარებდნენ იმ დროისთვის ახალგაზრდა ქართულ ინდუსტრიას საკუთარ გამოცდილებას და Art Factory of GIPA-ს ინიციატივით 2013 წელს იგივე კონცეფციაზე დაყრდნობით შეიქმნა საბაკალავრო პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობენ ინდუსტრიაში მოქმედი პროფესიონალები. აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან (აკრედიტაციის თარიღი 10.12.2013, გადაწყვეტილება #202). GIPA-ს ჟურნალისტიკის სკოლა, რომელიც დიდი ხანია ცნობილია ქვეყანაში, უკვე ისტორიის ნაწილია და უნივერსიტეტის მისიაშიც და სტრატეგიაში დარგის განვითარების პოზიციას განამტკიცებს. მისიის შესაბამისად წარმოდგენილი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამა, რომელიც მიმართულია მუდმივ განვითარებაზე 2013 წელის აკრედიტირებული პროგრამის გაუმჯობესებული ვერსიაა. მიღწეული პროგრესი დასტურდება აკადემიური საბჭოს ყოველწლიური ოქმებით (საბჭოს ოქმები: # 11 10.08.2015 დანართი #1, ოქმი #15 31.08.2016 ან/და ოქმი #23 18.01.2017, ოქმი #

43 31.01.2018), რომლებშიც ასახულია პროგრამის თანდათანობითი განვითარება, ასევე დამატებითი დოკუმენტაციით, თანამშრომლობის მემორანდუმებით და საერთაშორისო პარტნიორებთან ხელშეკრულებებით.

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზნად დასახელებულია სტუდენტს შესძინოს:

-ფუნდამენტური განათლება ვიზუალურ ხელოვნებაში, როგორც ძირითადი სპეციალობის საფუძველი.

-შემოქმედებითი, ტექნიკური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები ძირითადი სპეციალობის ფარგლებში.

კონკრეტული მიზნები ჩამოყალიბებულია ძირითადი სპეციალობის კურსის ფარგლებში შემავალი დისციპლინების საშუალებით.

▪ პროგრამის კომპონენტებისა და სილაბუსების შინაარსის გათვალისწინებით, ექსპერტთა აზრით აჯობებდა, ნაცვლად ფუნდამენტური განათლებისა, დაეწერათ - ფართე განათლება, რაც ურო შეესაბამება რეალობას.

მედია ხელოვნების სპეციალობის მიზანია თანამედროვე მედია ხელოვნების და რეკლამის, როგორც მრავალფეროვანი ვიზუალური საკომუნიკაციო დარგის შესწავლა, რაც ავტორთა აზრით გულისხმობს:

- *შემოქმედებით კონცეპტუალურ ხედვას - კონცეფციის ჩამოყალიბებას, იდეების გენერირება-განვითარებას,*
- *კრეატიულ და ანალიტიკურ აზროვნებას. ვიზუალურ კომუნიკაციას - გრაფიკული და ციფრული დიზაინის მნიშვნელოვან ელემენტებს, ვიდეო კონტენტის შექმნასა და ვიზუალური თხრობის მეთოდებს.*
- *სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარს - ბრენდინგის საფუძვლებსა და ციფრულ მარკეტინგს, მედია მატარებლების მართებულ გამოყენებას კონკრეტულ პროექტთან ან ბრენდებთან მიმართებაში, ახალი მედიის სტრუქტურასა და შესაძლებლობებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას.*
- *ტექნიკურ უნარებს, რაც ეხმარება სხვადასხვა მეთოდების საშუალებით შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას (ტექნიკური კლასები Adobe სწავლება).*
- *ტრანსფერულ უნარებს, რაც მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გამოყენებას გულისხმობს.*

აუდიო-ვიზუალური სპეციალობის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- *შემოქმედებითი უნარები - ვიზუალური თხრობის ტრადიციული და თანამედროვე ფორმების ცოდნა.*
- *პრაქტიკული განხორციელება - ვიზუალური პროექტის განცხორციელების ყველა ეტაპის ცნობა, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მუშაობის სპეციფიკის ცოდნა.*
- *აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის უნარი - პროექტის პოტენციალის შეფასების უნარი და ბაზართან მისი რელევანტურობის, დროულობის განსაზღვრა.*
- *ტექნიკური უნარები - ვიზუალური ნაწარმოების წარმოების ყველა საჭირო ტექნიკურ უნარის (კამერა, ხმა, მონტაჟი, ფერის კორექცია და ა.შ.) ფლობა.*
- *ტრანსფერული უნარი - ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, იდეების რეალიზება, შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვა, პროექტის განვითარების თანმიმდევრული გააზრება და პროექტის განხორციელება, სამუშაოს*

კრიტიკულად შეფასება. კოლეგებთან და დამკვეთებთან პროფესიონალური ურთიერთობა, ეფექტიანად, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში. შემოქმედებითი პროექტის, გეგმების, წინადადებებისა და საკითხების ეფექტიანად და პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.“

მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს გამოუმუშავებს პროგრამა კურსდამთავრებულს.

მედია ხელოვნების სპეციალობის მიზანია სტუდენტმა შეძლოს:

- *თავის დამკვიდრება კრეატიულ ინდუსტრიაში, მრავალმხრივი/მრავალფეროვანი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების დაუფლებით მრავალმილიონიან ინდუსტრიაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმება.*
- *ქართული სარეკლამო ინდუსტრიის განვითარებაში წვლილის შეტანა. საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობით გაზარდოს ინდუსტრიის ცნობადობა საერთაშორისო დონეზე.*

აუდიო-ვიზუალური სპეციალობის მიზანია სტუდენტმა შეძლოს:

- *საკუთარი თვითგამოხატვის ფორმის პოვნა, ჟანრული მრავალფეროვნების გაცნობა და გათავისება, საჭიროების შემთხვევაში შეძენილი უნარების გამოყენება.*
- *მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება. დამოუკიდებელი საავტორი კინოს განვითარებაში საკუთარი გამოცდილების და წვლილის შეტანა. ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში.*

▪ აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა აზრით, პროგრამის „აუდიო-ვიზუალური სპეციალობის“ მიზანთაგან ერთ-ერთი *„დამოუკიდებელი საავტორი კინოს განვითარებაში საკუთარი გამოცდილების და წვლილის შეტანა“* ერთობ პრეტენზიულად ჟღერს და კვალიფიკაციის საბაკალავრო დონის შედარებით მაღალ თამასას წარმოადგენს, აღემატება საბაკალავრო მოთხოვნებს და უფრო შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. ექსპერტთა აზრით აჯობებდა ეს მიზანი ასე აღეწერათ - **მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება და ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში.** თუმცა, ინსტიტუტის მისიის გათვალისწინებით - მიზანთა თანმიმდევრული გართულება შრომის ბაზრის მოთხოვნათა ზრდის შესაბამისად (რაც არის ამ სკოლის საუკეთესო მაიდენტიფიცირებელი პოზიცია/ სავიზიტო ბარათია)- აღმატებული მიზანი არ შეიძლება არარეალისტურად, ან უარყოფით მაჩვენებლად ჩაითვალოს. ამდენად, პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, უმეტესწილად რეალისტური და მიღწევადია, მიმართულია ინტერნაციონალიზაციაზე.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს გადააქვს შეძენილი ცოდნა და უნარები პრაქტიკაში, ახდენს ტრანსფერული ცოდნის დემონსტრირებას. ამასთანავე, აქვს საშუალება წვლილი შეიტანოს ქართული კინო ინდუსტრიის განვითარებაში, რაც თავის მხრივ მიმართულია საზოგადოების განვითარებაზე. ასევე, საუკეთესო სტუდენტებს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელონ შემდეგ საფეხურზე მსოფლიოს საუკეთესო სკოლებში.

პროგრამა ითვალისწინებს რა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, მიმართულია დარგისა და საზოგადოების განვითარებაზე; პროგრამის თვითშეფასების მიხედვით იკითხება, რომ 2014 წლიდან

პროგრამა ვითარდება, განიცდის ცვლილებებს, ყოველწლიურად ხდება კურიკულუმის გადახედვა და მოდერნიზება, გაზიარებულია სასწავლო პროგრამების საერთაშორისო გამოცდილება და თანამედროვე ხედვები კრეატიული ინდუსტრიების მოთხოვნების შესაბამისად. ავტორთა აზრით, პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვება ხელს შეუწყობს ამ ინდუსტრიის და ადგილობრივი ბაზრის განვითარებას, გაზრდის ქართული კრეატიული ინდუსტრიის ბაზარს და მის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც თავის მხრივ გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და მისცემს მათ შესაძლებლობას ჩაერთონ მედია ინდუსტრიის გლობალურ ქსელში. პროგრამის მიზნები და ამოცანები საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ გვერდზე; ისინი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია; ○ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა; ○ პროგრამის თვითშეფასება; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან; ○ შეხვედრა დამსაქმებლებლებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.gipa.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, ნაცვლად ფუნდამენტური განათლებისა, დაიწეროს ფართე განათლება. ○ სასურველია „მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება. *დამოუკიდებელი საავტორი კინოს განვითარებაში საკუთარი გამოცდილების და წვლილის შეტანა.* ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში “, შესწორდეს - მზარდ კინოინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრება და ახალი ფორმატების ინტეგრირება საკუთარ შემოქმედებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით: „პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, პროგრამა იყენებს 6 შედეგობრივ მაჩვენებელს **მედია ხელოვნების სპეციალობით:** 1. *ითვისებს და იყენებს ხელოვნების მიმდინარეობებს, სტილებს და ტენდენციებს თანამედროვე ვიზუალურ კომუნიკაციაში, საკუთარი შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.* 2. *ფლობს შემოქმედებითი კონცეფციის ჩამოყალიბების, იდეების გენერირების და განვითარების, კრეატიული, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარს.* 3. *იყენებს გრაფიკული და ციფრული დიზაინის, ვიდეო კონტენტის შექმნისა და ვიზუალური თხრობის მეთოდებს შემოქმედებით ვიზუალურ საკომუნიკაციო პროექტებში.* 4. *შეუძლია სტრუქტურული და კრიტიკული აზროვნება კრეატიული კონცეფციის შესამუშავებლად, ინტეგრირებული კამპანიისთვის მედია მატარებლების და ციფრულ ტექნოლოგიების შერჩევა, დაგეგმვა და მართვა პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.* 5. *ფლობს თანამედროვე ციფრულ, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ირჩევს მეთოდებსა და ხერხებს კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში და იყენებს შემოქმედებითად.* 6. *შეუძლია ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, პრაქტიკულად გამოყენება, პროფესიონალური ეფექტური კომუნიკაცია, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში, კამპანიის კონცეფციების, წინადადებების, განხორციელების გეგმების ეფექტიანად, პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.* **აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობით:** 1. *ითვისებს და იყენებს ხელოვნების მიმდინარეობებს, სტილებს და ტენდენციებს თანამედროვე ვიზუალურ კომუნიკაციაში, საკუთარი შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.* 2. *იცნობს ვიზუალური თხრობის ტრადიციულ და თანამედროვე ფორმებს.* 3. *იცის ვიზუალური პროექტის განცხორციელების ყველა ეტაპი, აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების მუშაობის სპეციფიკის ცოდნა.* 4. *შეუძლია პროექტის პოტენციალის შეფასება და ბაზართან მისი რელევანტურობის,*

დროულობის განსაზღვრა.

5. *ფლობს ვიზუალური ნაწარმოების წარმოების ყველა საჭირო ტექნიკურ უნარს (კამერა, ხმა, მონტაჟი, ფერის კორექცია და ა.შ.).*
6. *შეუძლია ცოდნისა და უნარების დემონსტრირება, პრაქტიკულად გამოყენება, პროფესიონალური ეფექტური კომუნიკაცია, ნაყოფიერად და ანგარიშვალდებულად მუშაობა გუნდში, კამპანიის კონცეფციების, წინადადებების, განხორციელების გეგმების ეფექტიანად, პროფესიონალურად წარმოდგენა ფორმატისა და ვადების დაცვით.*

- აღსანიშნავია, რომ მედია ხელოვნების სპეციალობის მიმართულებით ყველა მიზანი გადის შესაბამის შედეგზე, ხოლო აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობით ზემოაღნიშნულ შედეგებზე გადის იმ დათქმით, რომ დასკვნით სემესტრში პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაშრომის ნაწილში გადის უფრო ზოგად კომპეტენციებზე (მაგ. 10-15 წუთიან ფილმზე და არა ჟანრობრივი სპეციფიკით გათვალისწინებულ ჩაღმავებულ შედეგზე), ვიდრე ეს არის დაკონკრეტებული პრაქტიკულ კომპონენტზე მუშაობის ინსტრუქციაში (აღნიშნული ინსტრუქცია მე-8 სემესტრის პრაქტიკულ კომპონენტზე მუშაობის სილაბუსს წარმოადგენს, დამოუკიდებელი სილაბუსი არ არის).

პროგრამის სწავლის შედეგები **უმეტესწილად** შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, უვითარებს რა სტუდენტს ფართო პროფესიულ კომპეტენციებს, მიმართულების /თრეკის/კონცენტრაციის ფარგლებში და მოიცავს დარგის შესაბამის მრავალფუნქციური პაკეტის ძირითად ცოდნას და უნარ–ჩვევებს; პროგრამის სწავლის შედეგები საკმარისია სტუდენტის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე შემუშავებულია **პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ნიშნულები.** პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება სილაბუსში აღწერილი შედეგების მიღწევის დადგენა სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავების და პროცენტული განაწილების ანალიზის გზით. სამიზნე ნიშნულები დადგენილია თითოეული საგანის შედეგის მიღწევის მაჩვენებლებით, განსაზღვრულია პროცენტული განაწილება (სასწავლო წლის შედეგებით დადებითი და ჩაჭრილი სტუდენტების პროცენტული რაოდენობით), დაშვებულია გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 30%-ს.

I – Introduction -70%
D-Development/Practical -70%
C – Creative -60%
A-Advanced -50%
ID - 65%
IC - 65%
CD - 60%
DA - 55%
CA -55%

ამ მეთოდით ადგენენ, თუ რამდენად რთულია ან მარტივი სასწავლო კურსის კომპონენტები, რამდენად ადეკვატურია შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები და აქტივობები.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს და შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო პროგრამის პარტნიორი კომპანიები მონაწილეობენ მიღწეული შედეგების შეფასებაში დასაქმების სფეროების მოთხოვნების შესაბამისად. დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტურ პორტფოლიოს, რომელიც ფასდება წარმომადგენლების, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან, რაც გულისხმობს რჩევებსა და მითითებებს სტუდენტის სასურველი შედეგის მიღწევისათვის. დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან ხდება სწავლის შედეგების შეფასება - Portfolio review. ვიზიტის დროს გამოკითხვით და ვებ-გვერდის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სტუდენტური პორტფოლიო ფასდება ონლაინ, რის საფუძველზეც საუკეთესო პორტფოლიოს ავტორები იღებენ ჯილდოს და სტიპენდიას. ასევე, პორტფოლიო რეიტინგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შერჩევის დროს. სწავლის შედეგები სტუდენტური პორტფოლიოს სახით საჯარო და ხელმისაწვდომია:www.af.gipa.ge;http://af.gipa.ge/students; http://portfolioreviewtbilisi.gipa.ge შედეგები, რომელიც კურსების სილაბუსებშია გაწერილი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია რამოდენიმე სახის მეთოდი და აქტივობა: სალექციო შეხვედრა, თეორიული ცოდნის გადაცემის მიზნით, სემინარები ან აქტივობები გუნდური მუშობის წესების გათვალისწინებით, ტესტირება და წერითი გამოცდები, მიღებული ცოდნის შეფასების მიზნით. ვორქშოფები, სადაც სტუდენტი ლექტორის დახმარებით ავითარებს იდეებსა და ქმნის საბოლოო პროდუქტს. დამოუკიდებელი სამუშაო პროცესი, შემოქმედებითი ან/და ტექნიკური დამოუკიდებელი დავალებები, ლაბორატორიული სამუშაოები, რაც სტუდენტს დამოუკიდებლად მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარს გამოუმუშავებს. სწავლის სტრატეგია ინფორმაციის აღქმასა და გადამუშავებაზეა ორიენტირებული, რაც ტრანსფერის უნარს, ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას უვითარებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის კომპონენტების გაცნობის შედეგად, ექსპერთთა აზრით, ეს არის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - პორტფოლიო რეიტინგის - გამოყენებას გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შერჩევისას.

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროგრამის შემდგომ განვითარებას. შეფასების შემუშავებაში ჩართულია თითქმის ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი). პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ ხარისხის უზრუნელყოფის სახელმძღვანელო; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის მიზნები; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ ვებგვერდი: www.af.gipa.ge http://af.gipa.ge/students ○ http://portfolioreviewtbilisi.gipa.ge/ ○ ინტერვიუს შედეგები. ○ აკ. საბჭოს ოქმები (ოქმი # 11 10.08.2015 დანართი #1) (ოქმი #15 31.08.2016 ○ დანართი #2) (ოქმი #23 18.01.2017დანართი #1) (ოქმი # 43 31.01.2018 დანართი #1).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტი მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად-უფრო ზუსტი და აღწერითი ფორმულირებით ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ Portfolio Review Tbilisi - დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით განხორციელებადი ღია ღონისძიება არის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - პორტფოლიო რეიტინგის - გამოყენებას გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შერჩევისას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვა პროგრამაზე შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შიდა გამოცდასთან, დოკუმენტაციის განხილვისთან ან გასაუბრების წარმატებით გადალახვასთან. ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აბიტურიენტის ცნობარში.

უნივერსიტეტი ახორციელებს ღია კარის დღეებს და ინფორმაციის მიღების მიზნით აბიტურიენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ინფორმაციის გავრცელება (ღია კარის დღე, სოციალური ქსელები) ○ https://www.facebook.com/events/954048104745953/ ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საუნივერსიტეტო სტრატეგიის შესაბამისად GIPA -ს მიზანია, ერთის მხრივ, ტრადიციულ დარგებში განამტკიცოს წამყვანი პოზიციები, მეორეს მხრივ, შეუწყოს ხელი ახალი დარგების განვითარებას. აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია GIPA-ს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. შედგება სწავლების ხარისხის შეფასების შემდეგი ეტაპებისგან: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. პროგრამა **უმეტესწილად პასუხობს** საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებს და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას.

აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმს საფუძვლად უდევს Miami AD School, UAL-London college of Communications და MET Film School გამოცდილება. ეს სკოლები ლიდერებია მსოფლიოში კრეატიული ინდუსტრიის კადრების მომზადებასა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების განვითარებაში.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, გარე პარტნიორებთან კონსულტაციები, დარგის სპეციფიკა და საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

თვითშფასების ანგარიშის მიხედვით: „აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა მოცულობით, შინაარსით და კომპლექსურობით შეესაბამება სწავლების საფეხურს.
პროგრამა თანმიმდევრულია, ლოგიკურია და ორგანიზებულია შემდეგნაირად:

- პროგრამის სტრუქტურა მოიცავს რვა სემესტრს და შედგება 3 ეტაპისგან, რომლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 240 კრედიტს.
- სწავლების პირველი ეტაპი (I-III სემესტრი) მოიცავს 68 კრედიტს - სავალდებულო ზოგად საგნებს, ზოგადი განათლება ხელოვნებაში.
- სწავლების მეორე ეტაპი (III-VII სემესტრი) მოიცავს 123 კრედიტს - ძირითადი სპეციალობების - აუდიო- ვიზუალური ხელოვნების ან მედია ხელოვნების სავალდებულო საგნებს.
- სწავლების მესამე ეტაპი (VIII სემესტრი) მოიცავს 25 კრედიტს - პრაქტიკულ კომპონენტს.
- თავისუფალ 24 კრედიტს სტუდენტი აგროვებს მისთვის საინტერესო საგნების არჩევით (სწავლების მეორე და მესამე ეტაპზე), როგორც პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული დამატებითი საგნებით, ასევე მომიჯნავე სპეციალობის საგნებით უნივერსიტეტის მასშტაბით.

პროგრამის მეთოდოლოგია ეფუძნება, როგორც თანამედროვე შემოქმედებით კონცეპტუალურ მიდგომებს, ციფრულ სწავლებას, ასევე მაღალი დონის ტექნიკურ ბაზას (შემოქმედებითი სტუდია, ფოტო სტუდია, კომპიუტერული ლაბორატორია, ვიდო კამერები, ფოტოაპარატები, დიგიტალური სახატავი პლანშეტები, ოკულუსები და ა.შ). კურსდამთავრებულების უნარები საშუალებას აძლევს მათ სწავლა გააგრძელონ მომდევნო საფეხურზე, საუკეთესო სკოლებში, მათ შორის საზღვარგარეთ; დასაქმდნენ კრეატიულ ინდუსტრიაში.

თვითშფასების მიხედვით მკაფიოდ არის გაცხადებული, რომ „პროგრამის შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას“, და „პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევადობას.“

ამავე დროს, ექსპერტების აზრით არის გარკვეული შეუსაბამობა სწავლის შედეგების ერთ ნაწილსა და მიზნებს შორის.

- კერძოდ, დამასრულებელ ეტაპზე (VIII სემესტრი) სტუდენტი ქმნის პრაქტიკულ

კომპონენტს - 20 ECTS რომელიც წარმოადგენს პორტფოლიოსა -5 ECTS და 10-15 წუთიან ფილმს ან ტრანსმედია პროექტს -20 ECTS. ამასთან, შემოქმედებითი პროდუქტი, ტრანსმედია პროექტის გარდა, შესაძლებელია სამ ჟანრში - ექსპერიმენტულ, დოკუმენტურ ან მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმად შესრულდეს. დამასრულებელი პრაქტიკული კომპონენტის ამგვარი ჟანრული მრავალფეროვნების დაკონკრეტება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მთლიანად კურიკულუმი აწყობილია ამ 3 ჟანრის შესწავლაზე; იმაზე, თუ რამდენად აქვს სტუდენს თითოეულ ჟანრზე, სემესტრების მანძილზე განაწილებული და კურსების შინაარსებზე დაყრდნობით მიღებული აუცილებელი ცოდნა; რამდენად ჩაღრმავებულად დაეუფლა იგი სამი სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკას; რამდენად ათვისებული აქვს განმასხვავებელი ტექნიკები; და რამდენად გააჩნია დოკუმენტური ან მხატვრული ფილმის რეჟისურის შესაბამისი აზროვნება, მსახიობთან მუშაობის უნარები და ა. შ. კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ის სპეციფიური კურსები, რომლებიც უნერგავენ სტუდენტს უნარებს, უშუალოდ მხატვრული ფილმის შესაქმნელად, მცირეა. მაგალითად, სულ - 5 ECTS განკუთვნილი მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის შესასწავლად. კურიკულუმი არ შეიცავს ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა „მხატვრული ფილმის რეჟისურის საფუძვლები“, „რეჟისორის მსახიობთან მუშაობა“ „მსახიობის ოსტატობა“ და ა. შ) რეჟისურაში (დოკუმენტური ფილმის რეჟისურა -5 კრ/ 45 საკონტაქტო საათი, მხატვრული ფილმის რეჟისურა -5 კრ/ 45 საკონტაქტო საათი) სულ 10 კრედიტია. შედარებისთვის, პროდიუსინგისთვის გამოყოფილია 20 კრედიტი. შესაბამისად, კურიკულუმში მხატვრული ფილმის სპეციფიკის შემსწავლელი კურსის წილი არასაკმარისია იმ პრაქტიკული კომპონენტის შესასრულებლდ, რომელიც გაწერილია პროგრამაში და მითითებულია „პრაქტიკულ ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქციაში“.

რეჟისურის ჩაღმავებული კურსი სრულიად ზედმეტია იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა გადის უფრო ზოგად შედეგზე და არ აქვს პრეტენზია უშუალოდ მხატვრული ფილმის წარმოებაზე. ამდენად, სტანდარტთან შესაბამისობაში პროგრამის მოსაყვანად რეკომენდირებულია ორი ვარიანტი:

ა) პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაწილი განზოგადდეს - მოიხსნას ჟანრობრივი დაყოფა და განისაზღვროს ასე - „10-15 წუთიანი ფილმი ან ტრანსმედია პროექტი“ (ამ შემთხვევაში კურიკულუმის სახეცვლა აუცილებელი არ იქნება, ექსპერტები ამ ვარიანტს ვამჯობინებთ)

ბ) განხორიელდეს კურიკულუმში საგნების დამატება ან მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავება და კრედიტების გაზრდა.

დოკუმენტური ფილმის შექმნა-განხორციელების უნარებთან კითხვები არ არის, რადგან ინსტიტუტში სხვა პროგრამის ფარგლებში არსებობს შესაბამისი კურსები, რომელთა არჩევის შესაძლებლობა სდუდენტს აქვს 24 ECTS არჩევითი კომპონენტების ფარგლებში.

- ექსპერტთა აზრით, სივრცით-პროექციული და შემოქმედებითი უნარების ტრადიციული (გრაფიკა, პლასტიკა) საშუალებებით გადმოცემისათვის, ასევე იმისათვის,

რომ „თავისუფალი ექსპერიმენტული მუშაობის დროს სტუდენტი იყოს ძიების პროცესში, რათა გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და კონცეპტუალური აზროვნება. მიღებული მასალით შექმნას კოლაჟი, ჩანახატები, სადაც იდეა და ვიზუალი უნდა პასუხობდეს მოცემულ კონკრეტულ თემას, შეძლოს აზრის გაერთიანება და საინტერესოდ გადმოცემა“- რაც არის მიზანი დისციპლინისა “არტ-სტუდიო1/არტ-სტუდიო 2 შემოქმედებითი აზროვნება ხელოვნებაში“- კარგი იქნება, თუ პროგრამაში მოცემული საკითხები და სწავლების მეთოდოლოგია **გაღრმავდება საგნებით, გეომეტრიული მოდელირება, პლასტიკა.** ამით სილაბუსში დასმული ამოცანები: სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და კონცეპტუალური აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში, შექმნას კონცეპტუალური პროექტები/პროდუქტები **სხვადასხვა მედიისთვის,** სადაც იდეა და ვიზუალიზაცია პასუხობს მოცემულ თემას, ხოლო თემა შესაძლოა იყოს მაგ. არქიტექტურა ან დიზაინი, კონცეპტუალური, ტექნიკური და ექსპერიმენტული მუშაობის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა აქტუალურ/თანამედროვე თემებზე, დაეხმარება სტუდენტს სწორად აღიქვას კიბერსივრცის კულტურული ზეგავლენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანთლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge ○ პრაქტიკულ კომპონენტზე მუშაობის ინსტრუქცია;
რეკომენდაციები: ○ განზოგადდეს -მოიხსნას ჟანრობრივი დაყოფა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაწილისა და განისაზღვროს ასე - „10-15 წუთიანი ფილმი ან ტრანსმედია პროექტი“. ან ○ აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კურიკულუმის ნაწილში განხორიელდეს საგნების დამატება ან მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავება და კრედიტების/საათების გაზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამას ორივე თრეკის კრეატიულ-შემოქმედებითი უნარების გასაძლიერებლად, ასევე პროექციული და სივრცითი აზროვნების განსავითარებლად/შესაძენად განხორიელდეს კურიკულუმში საგნების გეომეტრიული მოდელირება, პლასტიკა დამატება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ კრედიტების განაწილება, არჩევითი და ძირითადი კომპონენტების ჩამონათვალი, საგრძნობლად გაუმჯობესებულია წინა აკრედიტაციის შემდეგ.
შეფასება ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში **უმეტესწილად** მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის შინაარსი. შინაარსსა და მის შესაბამის სწავლის შედეგს შეესაბამება შეფასების კრიტერიუმები და მიღწევების შეფასება. კურსის შინაარსის მიხედვით განსაზღვრულია კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა, უმეტესწილად ლოგიკურია თანაფარდობა კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის შედეგები ასახულია წარმოდგენილ სტუდენტურ პორტფოლიოებში. სწავლების პირველი ეტაპის სავალდებულო ზოგადი საგნები, რომლებიც მოიცავს 68 კრედიტს, ანიჭებს სტუდენტს ზოგად ცოდნას, ხელოვნებაში ორიენტირების უნარს და შესაბამის ტექნიკურ უნარებს, რასაც იგი იყენებს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროექტის შექმნაში. სწავლების მეორე ეტაპი - ძირითადი სპეციალობები - აუდიო- ვიზუალური ხელოვნების ან მედია ხელოვნების სავალდებულო საგნების ნაკრები, რომელიც თითოეულ თრეკზე მოიცავს 123 კრედიტს, მიმართულია სპეციალობაში ზოგადი ცოდნის მისაღებად და ძირითადი უნარების ასათვისებლად. ამასთან, ზოგიერთი სილაბუსი გაღრმავებულ შედეგზეა ორიენტირებული და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი, საბაკალავრო საფეხურის ზედა ზღვარზეა. სავალდებულო საგნები მიმართულია შემოქმედებითი ინდუსტრიის შესაბამისი

სპეციალობის საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების გათვალისწინებაზე, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამ საგნების დაუფლება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სათანადო შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების გამომუშავებას.

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამა განიცდის მუდმივ მოდერნიზებას თანამედროვე კრეატიული ინდუსტრიის (რეკლამის ან კინოს) უახლესი გამოწვევების შესაბამისად.

სწავლების მესამე ეტაპი მოიცავს 25 კრედიტს - პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს პორტფოლიოსა (5 ECTS) და 10-15 წუთიან ფილმს ან ტრანსმედია პროექტს (20 ECTS). ამასთან, შემოქმედებითი პროდუქტი, ტრანსმედია პროექტის გარდა, სამი ჟანრიდან - ექსპერიმენტული, დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი ფილმი - ერთ-ერთში უნდა შესრულდეს.

კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ის სპეციფიური კურსები, რომლებიც უნერგავენ სტუდენტს უნარებს, უშუალოდ მხატვრული ფილმის შესაქმნელად, მცირეა. კერძოდ, დოკუმენტური ფილმის რეჟისურა (5 კრ/ 45 საკონტაქტო საათი) და მხატვრული ფილმის რეჟისურა (5 კრ/ 45 საკონტაქტო საათი) სულ 10 კრედიტია. პროდიუსინგისთვის კი გამოყოფილია 20 კრედიტი.

შესაბამისად, შედეგი, რომელიც კურსების შინაარსიდან გამომდინარეობს, შეუსაბამოა კურიკულუმში აღწერილი შედეგის („მხატვრული ფილმის“ კონტექსტში).

„მხატვრული ფილმის“ სპეციფიკის შემსწავლელი კურსის წილი არასაკმარისია იმ პრაქტიკული კომპონენტის შესასრულებლდ, რომელიც გაწერილია პროგრამაში/ მითითებულია „პრაქტიკულ ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქციაში“.

აუდიო-ვიზუალური თრეკის პრაქტიკულ ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქციაში გაწერილი კონკრეტული ჟანრების შესწავლა არ არის ასახული კურიკულუმის სქემაში და კურსის შენაარსს მხოლოდ **მეტწილად შეესაბამება.**

აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი ახდენს მიღებული ცოდნისა და ტექნიკური უნარების დემონსტრირებას, ცდილობს ინდუსტრიაში თავის დამკვიდრებას.

სტუდენტი მუშაობს ჯგუფში, იღებს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს და ახორციელებს შემოქმედებით პროექტს. ამასთან ერთად ქმნის/ასრულებს შემოქმედებით პორტფოლიოს, რაც მისი წარმატების საწინდარია.

პირველი და მეორე ეტაპის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად სტუდენტს მიეწოდება მრავალფეროვანი მასალა, ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის (ვებ გვერდების ლინკების), ვიდეო რგოლების და პრეზენტაციების სახით.

სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასალა აქტუალურია და უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსი**, გარდა რეჟისურისა, ძირითადად** ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე.

- თითოეული სასწავლო კურსის შედეგი ემსახურება პროგრამას მიზნის მიღწევას. ამასთან, ექსპერტების აზრით **რეჟისურის კურსების სიმცირე (დოკუმენტური და**

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის) ალოგიკურია.

- აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე მუშაობის ინსტრუქციაში გაწერილია: საკონტაქტო საათები - 32 სთ; 16 შეხვედრა ხელმძღვანელთან, კვირაში 2 საათი; 593 დამოუკიდებელი სამუშაო საათი; სულ: 625 სთ; კრედიტების რაოდენობა: 25 ECTS. სილაბუსის შინაარსი არ ასახავს იმ საკონტაქტო რეალურ დროს, რასაც სტუდენტი ატარებს ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელებთან/პროფესიონალ კონსულტანტებთან ერთად და იკითხება, თითქოს იგი დამოუკიდებლად იღებს მხატვრულ ფილმს/ამზადებს პორთფოლიოს, ხოლო 2სთ.-ს ზემოთ დამატებით კონსულტაციას-სატელეფონო ზარის მეშვეობით იღებს. რეალურად, იგი ჩართულია პროფესიული სააგენტოს სამუშაოში და მუშაობს ჯგუფთან, სადაც მას კონსულტაციას უწევენ სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები; კარგი იქნება თუ სილაბუსში შეიცვლება პროპორცია საკონტაქტო და ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ საათებს შორის და მიუახლოვდება კრედიტების შესაბამის გონივრულ საკონსულტაციო დროს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თავისუფალი ან სავალდებულო არჩევითი საგნები 24 კრედიტის მოცულობით. ამ თეორიული, შემოქმედებითი და ასევე ტექნიკური საგნების საშუალებით სტუდენტი სწავლის პერიოდში საკუთარი სუსტი მხარეების გაძლიერებას ახდენს. სტუდენტი თავისუფალ არჩევით კრედიტებს აგროვებს მისთვის საინტერესო საგნების არჩევით (სწავლების მეორე და მესამე ეტაპზე), როგორც პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული, ასევე მომიჯნავე სპეციალობის საგნებით ან უნივერსიტეტის მასშტაბით.

ექსპერტების მიერ სასწავლო კურსის სამიზნე ნიშნულების პროცენტული გადანაწილების დადასტურების მიზნით განხილულ იქნა დასკვნითი სემესტრის პრაქტიკული კომპონენტი, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც არის მოცემული. შედარდა სილაბუსში აღწერილი შეფასების კომპონენტები, შედეგები და შედეგების ინდიკატორები.

მედია ხელოვნების სპეციალობით:

პრაქტიკული კომპონენტი	A	A	A	A	A	A
პროცენტული წილი	15%	15%	15%	15%	20%	20%
სამიზნე ნიშნულები	B	B	B	B	C	C
კრეატივი 60%						
აქტივობა შემოქმედებით პროცესში - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%	✓	✓				✓
შემოქმედებითი გადაწყვეტილება -მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%	✓	✓	✓	✓		✓
განხორციელება 40%						
შესრულება -მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%		✓			✓	✓
პრეზენტაცია -მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%			✓	✓	✓	✓

აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობით:

პრაქტიკული კომპონენტი	**A**	**A**	**A**	**A**	**A**	**A**
პროცენტული წილი	**15%**	**15%**	**15%**	**15%**	**20%**	**20%**
სამიზნე ნიშნულები	**B**	**B**	**B**	**C**	**B**	**C**
შემოქმედებითობა 70%						
პორტფოლიოს მინაარსობრივი, ვიზუალური,პროგრამული გადაწყვეტა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%	✓	✓		✓	✓	✓
პროექტის შემოქმედებითი მხარე - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%	✓	✓	✓	✓	✓	✓
განხორციელება 30%						
აქტივობა და დედლაინები - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%			✓	✓	✓	✓
პრეზენტაცია- მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%			✓	✓	✓	✓

ექსპერტების აზრით, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისად, იძლევა საშუალებას დასახული მიზნებისა და შედეგების **უმეტესწილად მიღწევისა.** კერძოდ, სწავლის მეთოდები **ძირითადად ემთხვევა** მიღებულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესაბამისი კომპეტენციების გამომუმუშავებას. ინტერვიუირების დროს გამოირკვა, რომ პრაქტიკაზე სტუდენტები ბევრად მეტ კომპეტენციას, კონსულტაციას და მრავალფეროვან ინფორმაციას იღებენ, ვიდრე ეს არის ასახული.

პროგრამის კომპონენტების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ანალიზმა, ასევე ინტერვიუებმა კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებდან და დამსაქმებლებთან ცხადყო, რომ პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის ძირითადი შედეგების მიღწევა **მეტწილად უზრუნველყოფილია.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სწავლის პროცესში განხორციელებლი პროექტების ნუსხა;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები, სტუდენტური პორტფოლიო www.af.gipa.ge http://af.gipa.ge/students
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

2. გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტი მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად- უფრო ზოგადი ფორმულირებით ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში.
3. კარგი იქნება თუ სილაბუსში შეიცვლება პროპორცია საკონტაქტო და ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ საათებს შორის და მიუახლოვდება კრედიტების შესაბამის გონივრულ საკონსულტაციო დროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგს წარმოაჩენს პრაქტიკული კომპონენტი. მის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ ტრანსფერული უნარების ჩვენება. პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს კომპეტენციების ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებას პრაქტიკაში. პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად სასწავლო პროცესი აგებულია სტუდენტის კონტაქტზე კრეატიული ინდუსტრიის წარმომადგენელ კომპანიებსა და სააგენტოებთან. სასწავლო პროცესში დასაქმებული ლექტორების უმეტესობა არის პრაქტიკოსი, რომელთაც აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად ხელი შეუწყონ სტუდენტის ჩართულობას შემოქმედებით და საწარმოო პროცესებში. ყოველივე განაპირობებს სტუდეტების განვითარებას და ეხმარება პორტფოლიოს ხარისხის გაუმჯობესებაში, რაც ამ დარგში ძალიან მნიშვნელოვანია და კურსდამთავრებულის საერთაშორისო აღიარების საწინდარია. ადმინისტრაციასა და ლექტორებთან ერთად, პარტნიორი კომპანიები სწავლის პროცესშივე რთავენ სტუდენტებს რეალურ პროექტებში ან კონკურსებში (Young Lions Competition, Portfolio Review), რეალურ დამკვეთთან ურთიერთობაში, დამოუკიდებელ „კლასგარეშე“ შემოქმედებით პროექტებში. სასწავლო პროცესში შექმნილი პროექტები იქცევა ბაზად დასკვნით სემესტრში პროფესიონალური პორტფოლიოს შესაქმნელად. პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტს დამკვეთთან ითანამშრომლოს და საკუთარი უნარები განავითაროს. (იდეების გენერირების, შერჩევის, შეთავაზების და განხორციელების უნარები). პროგრამით გათვალისწინებულ ორ თრეკზე სხვადასხვა შინაარსის პრაქტიკული კომპონენტი სრულდება. მედია ხელოვნების სპეციალობისათვის გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი **სრულად შეესაბამება** მისანიჭებელი კვალიფიკაციას და გადის იმ შედეგზე, რომელსაც მიზნად ისახავს პროგრამა. კერძოდ:

„მედია ხელოვნების სპეციალობით: 625 საათი

- სააგენტოს მიმდინარე პროცესებში ჩართულობა
- შემოქმედებით პროექტზე მუშაობა
- დამოუკიდებელი მუშაობა
- სააგენტოს შემოქმედებითი ჯგუფი: კრეატიული დირექტორი, არტ დირექტორი, კოპირაიტერი და დიზაინერი.

პროგრამის დასკვნითი VIII სემესტრში (პრაქტიული კომპონენტი) სტუდენტი ახდენს მიღებული ცოდნის, გამოცდილების და ტექნიკური უნარების დემონსტრირებას, მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გულისხმობს სასწავლო პრაქტიკის პერიოდში კრეატიული კამპანიის იდეის მოფიქრებას, დაგეგმვას, შემოქმედებით ჯგუფში მუშაობას, იდეების განვითარებას და პროექტის განხორციელებას. ამასთან ერთად ქმნის/ასრულებს პროფესიონალურ პორტფოლიოს.“

აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობისათვის: პრაქტიული კომპონენტი, რომელსაც აქვს იდენტური ფორმულირება**„აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციალობით:** პროგრამის დასკვნითი VIII სემესტრში (პრაქტიული კომპონენტი) სტუდენტი ახდენს მიღებული ცოდნის, გამოცდილების და ტექნიკური უნარების დემონსტრირებას, მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გულისხმობს შემოქმედებითი პროექტის შექმნას დამოუკიდებლად, იდეის მოფიქრებას, დაგეგმვას, შემოქმედებით ჯგუფში მუშაობას, იდეების განვითარებას და პროექტის განხორციელებას. ამასთან ერთად ქმნის/ასრულებს პროფესიონალურ პორტფოლიოს“) რეგულირდება „პრაქტიულ კომპონენტზე სამუშაო ინსტრუქციით“.

დოკუმენტი გულისხმობს შემოქმედებითი ნაწილის 4 ვარიანტს. კერძოდ, პრაქტიკული კომპონენტის სტრუქტურა იყოფა შემდეგნაირად - პრაქტიკული კომპონენტი:

- *ექსპერიმენტული ფილმი - მოკლემეტრაჟიანი (მაქსიმუმ 10-15) წუთიანი ფილმი, რომელსაც აქვს ექსპერიმენტული ხასიათი, გამოირჩევა ფორმის და სათქმელის ორიგინალურობით და მკვეთრად ინდივიდუალური ხედვით. ყურადღება ექცევა ფილმის ტექნიკურ შესრულებას;*
- *მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი - მაქსიმუმ 10-15 წუთიანი მხატვრული ღირებულების მქონე ფილმი, სადაც გამოკვეთილია ამბავი, ყავს საინტერესო გმირები და გამოირჩევა ამბის თხრობის ორიგინალურობით. ფილმი შესრულებულია ტექნიკურად უნაკლოდ;*
- *დოკუმენტური ფილმი - 10-15 წუთიანი დოკუმენტური ფილმი, რომელსაც ყავს საინტერესო გმირები, აქვს საინტერესოდ განვითარებული ამბავი, თხრობა გამოირჩევა ორიგინალური, მკვეთრი ავტორისეული ხედვით და უნაკლო შესრულებით;*
- *ტრანსმედია პროექტი - თხრობის ახალი ფორმით მოყოლილი ამბავი, რომელიც გამოირჩევა ავტორისეული ხედვით და ამბის მოყოლის ახალი ტექნიკური ფორმით. შესრულებულია ტექნიკურად უნაკლოდ.“*

ამ სტრუქტურას, კერძოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჟანრულად ჩაშლას, როგორც სწავლის შედეგს, გააჩნია გარკვეული შეუსაბამობა პროგრამის სტრუქტურასთან. აუდიო-ვიზუალურის ხელოვნების მიმართულებით პროდიუსინგის ოთხი 5- კრედიტიანი კურსი ისწავლება - სულ 20 კრედიტი; მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის რეჟისურა კი მხოლოდ ერთი კურსის ფარგლებში 5 -კრედიტს მოიცავს. ამ კონტექსტში სტუდენტის სწავლის შედეგად მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის შექმნა ძალზე ამბიციური

განაცხადია.
გასათვალისწინებელია, რომ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის შექმნაში იქნება ჩართული მსახიობ(ებ)ი, რომლებთან მუშაობის საწყისი ცოდნის მიღება პროგრამით გათვალისინებული არ არის.
არც არჩევით საგნებში არის „შესავალი რეჟისურაში“, „ მსახიობის ოსტატობა“, ანდა „მსახიობის და რეჟისორის ურთიერთობა“. შესაბამისად, სტუდენტს არ აქვს საშუალება მიიღოს მხატვრული ფილმის შექმნისათვის აუცილებელი ცოდნა.
დოკუმენტური ფილმის შექმნა-განხორციელების უნარებთან კითხვები არ არის, რადგან ინსტიტუტში სხვა პროგრამის ფარგლებში არსებობს შესაბამისი კურსები, რომელთა არჩევის შესაძლებლობა სდუდენტს აქვს 24 არჩევითი კრედიტის ფარგლებში.
აღსანიშნავია, რომ ყველა სილაბუსი ვერ გავა 6 -ივე შედეგზე, როგორც პროგრამაშია აღნიშნული. მაგ. არჩევითი დისციპლინა: ანატომიური ხატვა - ვერ გავა კომუნიკაციაზე, ან/და დასკვნის უნარზე - თუმცა ეს არ ცვლის პროგრამის ძირითად იერს და მის სიძლიერეს კონკრეტული დარგის შესწავლისთვის.

გარდა შინაარსობრივი ნაწილის გამართვისა, პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსს,როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესაჭიროება მეტი გამჭვირვალობა და სიცხადე საკონტატო, სტუდიური თუ ინდივიდუალური სამუშო საათების გაწერაში.
ეს ეხება არამარტო აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არამედ მედია-ხელოვნების მიმართულებასაც.
პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი ორივე მიმართულებაში მოიცავს 25 კრედიტს. ამასთან **ხელმძღვანელის საკონტაქტო საათი არის მხოლოდ 32.**
დისპროპორცია კრედიტსა და საკონტაქტო საათს შორის უნდა აღმოიფხვრას იმ რეალური შეფარდების აღწერით, რომელიც პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას წარმოიშვება.
კერძოდ, არ ჩანს და გასაწერია ის საათები, რომელიც კონსულტაციებს ხმარდება (პროგრამაში ჩართული პედაგოგიური სტაფის მიერ ანდა ხელმძრვანელის მიერ), ასევე შესაძლებელია, „სტუდიოს“ან „კლასტერის“ ფორმატის გამოყენებაც და ა. შ ;
პარტნიორი ფირმების/სააგენტოების მიერ შეთავაზებული პრაქტიკული სამუშაოების განსაზღვრა, როგორც საწარმოო პრაქტიკა.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი **მეტწილად ორგანიზებული** და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://gipa.ge/geo/list/193/ghonisdziebebi
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;

- პროგრამის ხელმძღვანელის სტუდენტებთან შეხვედრის დოკუმენტი;
- სწავლის პროცესში განხორციელებული პროექტების ნუსხა.

რეკომენდაციები:

4. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კურიკულუმში განხორიელდეს შესაბამისი საგნების დამატება ან მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავება და კრედიტების/საათების გაზრდა.
5. გასაწერია „პრაქტიკული კომპონენტის“ სილაბუსის რეალური საკონტაქტო, სტუდიური, ინდივიდუალური საათების რაოდენობა რეალურად განხორციელებული სამუშაოების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; ყოველი აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად და და მათი ნამუშევრების შემთხვევითი პრინციპით დათვალიერებისას. როგორც უკვე 2.4 სტანდარტშია აღნიშნული, აქაც უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ყველა სილაბუსი ვერ გავა 6 -ივე შედეგზე, ისე, როგორც პროგრამაშია აღნიშნული, მაგ. არჩევითი დისციპლინა ანატომიური ხატვა - ვერ გავა კომუნიკაციაზე, ან/და დასკვნის უნარზე - თუმცა ეს არ ცვლის პროგრამის ძირითად იერს და მის სიძლიერეს კონკრეტული დარგის შესწავლისთვის.
- სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მორგებულია შშმ სტუდენტებზე და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;
- უცხო ენაზე მოლაპარაკე სტუდენტები, პროგრამაზე არ არსებობენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ http://portfolioreviewtbilisi.gipa.ge/#/top - ონლაინ პორტფოლიოების ჟიური ○ https://www.behance.net ○ https://lmb.gipa.ge ○ https://gipa.ge/geo/ ○ შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ○ მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ მათ აქვთ მუდმივი კავშირი თავიანთ ხელმძღვანელობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ღებულობენ ამომწურავ უკუკავშირს თავიანთ ნამუშევრებზე. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; ყოველი ეს შესაძლებელია LMB პორტალის მეშვეობით, რაც უფრო დეტალურად მე 3 სტანდარტშია გაწერილი. აგრეთვე უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება და შესაბამისი პროცედურა ყველა სტუდენტისთვის ცნობილია და მარტივი - თუმცა მათი განმარტებით ჯერ ამის საჭიროება არ ყოფილა.; იციან თავისი უფლებების შესახებ. ისინი საქმის კურსში არიან თუ რა არის პლაგიატი და როგორ უნდა აარიდონ თავი. აგრეთვე აკადემიური პერსონალი ხელს უწყობს ყოველ სტუდენტს დაიჭიროს სწორი ბალანსი - რაც ნიშნავს, რომ ერთის მხრივ: ყოველი მათგანი

იყოს აქტიური მკვლევარი, იყოს მუდმივად ჩართული სოციალურ ქსელში და გაინვითაროს კვლევის/ინფორმაციის მოძიების უნარი.და ახალი შეზლოს ახალი მასალის შესწავა, ხოლო მეორეს მხრივ, იყოს დამოუკიდებლად კრეატიული შემმოქმედი ინდივიდუალი - რაც საერთო ჯამში ასახულია ყველა სტუდენტსა და მათ ხელმძღვანელობებს შორის საკმაოდ მჭდრო და ერთმანეთის მიერ ნდობით აღჭურვილ ურთიერთობაში. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის ვებ გვერდზე - ეთიკის კოდექსში გაწერილია თუ რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება სტუდენტს. წესების თანახმად მას მიეცემა რამოდენიმე გაფრთხილება ხოლო განმეორების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტი გაირიცხოს სასწავლებლიდან. კონკრეტული გადაწყვეტილებები განიხილება აკადემიურ საბჭოზე. აკადემიური საბჭო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით.

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი დიდ ყურადღებას აქცევს თავიანთი სტუდენტების სახელს და მათ როლს თანამედროვე დასაქმების ბაზარზე. ამაში იგულისხმება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტები არიან ჩართულები აქტივობებში და მუდმივად ხდება მათი ინიციატივების შედეგების ასახვა სოციალურ ქსელებში ან/და მედია საშუალებებში. აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ნამუშევრები და მათი პორტფოლიოები არის საჯარო ინფორმაცია.
- ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება გვქონდა გვენახა სტუდენტების ნამუშევრები, ვიდეო / აუდიო მასალა კურსების მიხედვით და გვენახა მათი პროფესიული ზრდა.
- სასწავლებელი და მატერიალური რესურსი მორგებულია ყველა სახის სტუდენტზე. მათ შორის შესაძლებლობა არსებობს სტუდენტების რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას.
- ყველა სტუდენტთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი, აგრეთვე ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც უფრო დეტალურად აღნიშნულია მე 5 სტანდარტის 5.1 კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- http://portfolioreviewtbilisi.gipa.ge/#/top - ონლაინ პორტფოლიოების ჟიური
- https://www.behance.net
- https://lmb.gipa.ge
- https://gipa.ge/geo/
- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმოდგენილი პროგრამა არის 2013 წლის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამის სახეცვლილი და გაუმჯობესებული ვერსია. გასაუბრების დროს, პროგრამაში შეტანილი კონკრეტული ცვლილებები არაერთხელ იყო ხაზგასმული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აგრეთვე დამსაქმებლების მიერ, რაც ძირითადად უნივერსიტეტის და სტუდენტების მჭიდრო ურტიერთობაზე მეტყველებს და ხაზს უსვავს მათ ჩართულობას პროგრამის გაუმჯობესებაში / შემუშავებაში. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას, რომელიც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ისევე როგორც ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით მტკიცდება რომ, საშუალოდ 35 სტუდენტის ფარგლებშია. სტუდენტების ეს რაოდენობა განაპირობებს პროგრამაზე მათ მჭიდრო და ახლო ურთიერთობას, როგორც ერთმანეთთან აგრეთვე თავიანთი პროგრამის ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან და სკოლის

ადმინისტრაციასთან - რაც ევიდენტური იყო ინტერვიუების დროს.

- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების ყოველი სტუდენტი, სისტემატურად და დროულად იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას. დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერული განვითარების მხარდაჭერა სტუდენტებს აქვთ თავიანთი სწავლების პერიოდშიც და სწავლების დასრულების შემდეგაც. სტუდენტებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა მეთოდით. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლებელი, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. *პირველ დახმარებას/ინფორმაციას ისინი ღებულობენ სასწავლებელში ჩარიცხვის დღიდან, როდესაც მათთვის დაგეგმილია საორიენტაციო/გაცნობითი კვირეული. ამ დროს ხდება მათთვის ყველა ძირითადი პირველადი ინფორმაციის მიწოდება მათ შორის მათი კანონიერი უფლებები და ვალდებულებები. საქართველოს კანონმდებლობაში, ახალი ავტორიზაცია/აკრედიტაციის კანონების დამტკიცების შემდეგ, სასწავლებელმა საგრძნობლად გააუმჯობესა ისედაც სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლება და გაზარდა სტუდენტური სერვისები.*
2. *მიუხედავად სასწავლებელში არსებული სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრის, ან/და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის, - სტუდენტებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს პროგრამის კოორდინატორთან და დეკანთან კომუნიკაცია. მათგან ვერბალურად საჭირო და დროული ინფორმაციის მიღება.*
3. *ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს წარმოადგენს lmb.gipa.ge - ვებ პლატფორმა, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციისთვის და ლექტორებისთვის ყველა ინფორმაციის მიწოდებაზე. (ინფორმაციის შეგროვება / გაცვლა) აქ იგულისხმება ერთ პლატფორმაში გაერთიანებული ყველა ის ფუნქცია რაც სასწავლებელს შეილება გამოადგეს სტუდენტებთან ურთიერთობაში: სტუდენტებთან ნაშრომებზე უკუკავშირი, ბიბლიოთეკასთან კავშირი, - წიგნების მოძიება, გადმოწერა/დაჯავშნა, საკუთარი (სტუდენტების) გადასახადების კონტროლი, ლექტორების შეფასება, სტუდენტების შეფასება და სხვ.*
4. *ექსპერტთა აზრით აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს ამ პროგრამის (უნივერსიტეტის) ძლიერ მხარეს და უნდა აღინიშნოს როგორც მისი საუკეთესო პრაქტიკა.*

- აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამა ითვალისწინებს ხშირ და მჭიდრო ურთიერთობას სტუდენტებთან. მიუხედავად იმისა რომ სილაბუსებში ისედაც გაწერილია ინდივიდუალური კონსულტაციების დრო და საათი, რაც თვითშეფასების ანგარიშშიცაა აღნიშნული, - ბევრი საგნის სილაბუსი - უშუალოდ პრაქტიკულ სამუშაოებზეა ორიენტირებული და თავისთავად აძლევს სტუდენტებს საშუალებას, მუშაობის დროს, ადგილზე მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და საჭირო

კონსულტაცია. აღნიშნულ საკითხს არაერთხელ, სხვადასხვა კონტექსტში გაესვა ხაზი გასაუბრების დროს და აღნიშნეს როგორც აკადემიურმა პერსონალმა, აგრეთვე სტუდენტებმა და მოწვეულმა ლექტორებმაც. სტუდენტებს არაფერი არ ზღუდავთ, რომ მათ მიიღონ საჭირო კონსულტაცია ჯგუფური, ან ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში. ▪ დამსაქმებლები წარმოადგენენ საქართველოში ცნობად და წამყვან კომპანიებს. კურსდამთავრებულების უმეტესობა დასაქმებულია. ყველა სტუდენტს და კურსდამთავრებულსაც მუდმივად მიეწოდება განახლებული ინფორმაცია ვაკანსიებთან დაკავშირებით საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე - რაც მეტყველებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მჭიდრო ურთიერთობაზე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთანაც. ისინი ღებულობენ ხელშეწყობას როგორც სტუდენტობის ისევე სწავლის დასრულების შემდეგ. სტუდენტებზე ესეთი დიდი მოთხოვნა განპირობებულია ზუსტად ამ პროგრამის სიძლიერით, რომელიც დამსაქმებლების თქმით ორიენტირებულია მათ მოთხოვნებზე და უზრუნველყოფს ძლიერი და ოფისში მომუშავე კრეატიულად მოაზროვნე, გამოცდილი კადრების მომზადებას. ▪ უნდა აღინისნოს სტუდენტების შესაძლებლობა ისწავლონ საზღვარგარეთ, მიიღონ გამოცდილება, განსხვავებული გამოცდილება ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. გაცვლიტ პროგრამასი მონაწილეობა სტუდენტების თქმით, შესაძლებელია პროგრამაზე წამყვანი სტუდენტებისთვის, რაც ზრდის სტუდენტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას და მოტივაციას. გაცვლითი პროგრამა ერასმუს + ის ფარგლებში და სრულიად დაფინანსებულია. აღნიშნული სკოლის პარტნიორია ARTESIS PLANTIJN HOGESCHOOL ANTWERPEN. სადაც - სტუდენტების თქმით - იმყოფებოდა სტუდენტი ჩვენი ვიზიტის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ https://lmb.gipa.ge ○ https://gipa.ge/geo/ ○ შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ○ მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ექსპერტთა აზრით აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს ამ პროგრამის (უნივერსიტეტის) ძლიერ მხარეს და უნდა აღინიშნოს როგორც მისი საუკეთესო პრაქტიკა. https://lmb.gipa.ge

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ https://lmb.gipa.ge
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე, კვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალით და მრავალრიცხოვანი მოწვეული პედაგოგებით. ადმინისტრაციული პერსონალია: - სკოლის უშუალო ხელმძღვანელი დეკანი - პასუხისმგებელია პროგრამის ზოგად სტრატეგიულ განვითარებასა და მართვაზე ; - აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები, რომელებიც ადმინისტრაციულად ხელმღვანელობას და კოორდინაციას უწევენ პროგრამას, - პროგრამის ძირითადი სპეციალობის კოორდინატორი; - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სწავლების ხარისხის კონტროლს ახორციელებს; - სკოლის ადმინისტრაციული კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის ფინანსების მართვაზე, შესყიდვებზე და ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე. დეკანი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით განახორციელებს ფაკულტეტის მართვას; ხოლო პროგრამების განვითარებაში, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში, საკადრო პოლიტიკის წარმოებაში და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებაში ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად ჩართულია სკოლის აკადემიური საბჭო. დამხმარე პერსონალი დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადო პირობებში წარმართვა. აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორისგან. ისინი თანამდებობაზე არჩეული არიან ღია კონკურსის წესით. პროგრამაში ჩართულია 6 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 55 მოწვეული პროფესიონალი. პერსონალი შერჩეულია მათი კომპეტენციის და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, რასაც ადასტურებს მათი რეზიუმეები და გამოცდილება პროგრამის მიზნების განხორციელებასთან მიმართებაში. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სამაგისტრო ან სადოქტორო ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა მცირეა. ეს პრობლემა კრეატიულ ინდუსტრიაში არსებობს არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც. ამდენად საბაკალავრო საფეხური და პროფესიონალური პორტფოლიო არის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ინდუსტრიაში

დასამკვიდრებლად. პროგრამა მიუხედავად მოწვეული პერსონალის ცვლილებებისა, განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვალსაზრისით მდგრადია, და წარმატებით ხორციელდება. თვითშეფასების მიხედვით: „უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის (მოწვეული და აკადემიური) რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.“ „აუდიო-ვიზაულური და მედია ხელოვნების პროგრამაზე სწავლების პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების შეფარდება არის 65/117, რაც ნიშნავს, რომ დაახლოებით სამ სტუდენტზე მოდის ერთი ლექტორი. აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში ეს მაჩვენებელია 10/117, რაც ნიშნავს, რომ დაახლოებით 12 სტუდენტზე მოდის ერთი აკადემიური პერსონალი.“ „აუდიო- ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 15%-ია, თუმცა აკადემიური პერსონალის ნაკლებობა არ განსაზღვრავს პროგრამის ხარისხს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით“. „ინგლისური ენის კომპონენტის სწავლებას ახორციელებს “Sygnosys International Georgia Limited” გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე“. ექსპერტების აზრით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების სათანადო შესრულებას. ასევე პერსონალის პირად საქმეების შესწავლა ცხადყოფს მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციას, რაც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებითაც დსტურდება. კადრების შესაბამისი კვალიფიკაციის რელევანტურობა და მასთან სწავლების ხარისხის კორელაცია რეგულარულად ფასდება შიდა შემოწმებების საშუალებით და ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორატისა ან სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ხელშეკრულების ნიმუშები; ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ○ პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის შაბლონი; ○ ინგლისური ენის კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან

გაფორმებული ხელშეკრულება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ აუდიო ვიზუალური ხელოვნების პროგრამის განვიტარებისატვის სასურველია პროგრამის ამ თრეკს ყავდეს სრული პროფესრი/ უშუალოდ დარგის სპეციალისტი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ვიზიტის დროს და პროგრამის მასალების , ასევე დამატებითი დოკუმენტაციის თანახმედ, კვლევის დეპარტამენტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადამიანური რესურსების სამსახურს ყოველი წლის დასასრულს ევალება, შეკრიბოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ და მის საფუძველზე დაგეგმოს მომავალი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. საუნივერსიტეტო სკოლებიდან აღნიშნული ინფორმაციის შეკრება ხორციელდება აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს შემდეგ კომპონენტებში ინფორმაციის შეკრებასა და გაანალიზებას: მონაწილეობა კონფერენციაში; გამოქვეყნებული პუბლიკაციები; კვლევით პროექტებში მონაწილეობა (განხორციელებული, მიმდინარე) კვლევითი პროექტების მიმოხილვით, ხოლო დასრულებული პროექტების შემთხვევაში, შედეგების მიმოხილვით; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევის დეპარტამენტში შემნილი პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომლის ფუნქციაა ხელი შეუწყოს ინსტიტუტში კვლევის კომპონენტის გაძლიერებას საჯარო პოლიტიკის მიმართულებით, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, დაინტერესებულ პირებსა და სხვა ინსტიტუციებს სთავაზობს ტრენინგებს საჯარო პოლიტიკის ანალიზში, მონიტორინგსა და შეფასებაში. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას, რაც

სოციალური და ეკონომიკური განვითარების საწინდარია. კრეატიულ ინდუსტრიაში, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით აქტიური პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველდღიურად ქმნიან ახალ პროდუქტებს, რაც დასტურდება პროგრამის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების რაოდენობითა და ხარისხით, თვითშეფასების დოკუმენტს თან ერთვის ჩამონათვალი კონკურსების,კომფერენციების,პუბლიკაციების და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშფასების ანგარიში: ○ სკოლის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი; ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სწავლის პროცესში განხორციელებლი პროექტების ნუსხა; ○ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები, სტუდენტური პორტფოლიო www.af.gipa.ge; http://af.gipa.ge/students
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, დაცულ სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმების გარემოში, დამონტაჟებულია სიგნალიზაციით, ცეცხლმაქრებით, პერიმეტრზე ვიდეო კონტროლით და უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელით. შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები. კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების

პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები (კამერები, შტატივები, ფოტოაპარატები, მობილური განათება და ა.შ.ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო და დაათვალიერა ყოველივე. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ლაბორატორიას CG MULTILAB -კომპიუტერები, დიგიტალური სახატავი პლანშეტები, ხმის ჩამწერები, პროფესიონალური ყურსასმენები, ოკულუსები და ა.შ. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფოტო ლაბორატორია/სტუდია. უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას: ○ ძირითადი სასწავლო შენობა ბროსეს N2 შენობაში განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, სტუდიები და ლაბორატორიები, ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცეები. ○ მულტიმედია განათლების ცენტრი, ალ.ჭავჭავაძის 10 ხელშეკრულების თანახმად, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა მულტიმედია განათლების ცენტრს იყენებს დამხმარე სასწავლო და სამუშაო სივრცედ (სტუდია, სამონტაჟო, ნიუსრუმი და ა.შ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული ლექტორი და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით - EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ვიზიტის დროს სკოლის დეკანმა და ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ისაუბრეს ახალი კამპუსის შესახებ, რომელსაც გეგმავენ ააშენონ ორთაჭალაში. 10000 კვ.მ. მიწა გადაეცათ მერიისგან და აქვთ ვალდებულება, რომ ააშენონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ https://lmb.gipa.ge ○ შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ○ მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა ფუნქციონირებს თვითდაფინანსების ხარჯზე, რაც ხორციელდება სწავლების გადასახადის მეშვეობით. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად - პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. დაბალანსების შემდეგ პროგრამის ბიუჯეტი წარედგინება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელთანაც ხდება მისი საბოლოო შეთანხმება. ამის შემდეგ ბიუჯეტი მტკიცდება რექტორატზე. ბიუჯეტის თანახმად სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება- 5400 ლარით წელიწადში, რაც ეფუძნება პროგრამის სტაბილურობას და ხარჯების გონივრულ გაწერას. ბიუჯეტში შედის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხარჯი, პროგრამის ადმინისტარციის ხელფასები, ლექტორთა ჰონორარები, სტუდენტური პროექტებისა და აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხა, ბიბლიოთეკა, საკანცელარიო საქონელი და სხვა. მიმდინარე პროგრამა მოთხოვნადია და მუდამ ყავს სტუდენტი(დაგეგმილზე მეტი მსურველი) ამდენად, პროგრამა ფინანსურად მდგრადია, ეკონომიკურად მიღწევადი და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან. ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოების, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა განიცდის შესაბამის ცვლილებებს. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას. აღნიშნულ სასწავლებელს გააჩნია როგორც ცენტრალური საერთო ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი, აგრეთვე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს - სკოლას გააჩნია თავისი ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი. პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; მიღებული სტანდარტების საფუძველზე ხდება პროგრამების სისტემატური ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კანონმდებლობაში, ახალი ავტორიზაცია/აკრედიტაციის კანონების დამტკიცების შემდეგ, ცენტრალურმა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კონკრეტული პროგრამა შეაფასა ახალი სტანდარტებთან შესაბამისობით.

შიდა შეფასება განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. აღნიშნული დეპარტამენტის და აკადემიური პერსონალის, სტუდენტებთან, ლექტორებთან დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო მუშაობით, გამოკითხვების წლიური ანგარიშების სახით დოკუმენტაციების შედგენით. მათი სამუშაო - მტკიცდება წარმოდგენილი პროგრამიტ რომელიც დაყრდნობილია რჩევებზე და მიღებულ უკუკავშირზე ყოველი მონაწილე ერთეულისგან.

შიდა შეფასება - ნებისმიერ სტუდენტს აქვს საშუალება lmb.gipa.ge ვებ პლატფორმის დროს შეაფასოს ლექტორი ყოველი სემესტრის ბოლოს, ან სწავლების პერიოდში. შეფასებები ანონიმურია. დგინდება მათი კმაყოფილება და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობა. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას. მაგალითისთვის: 2013 წელს აკრედიტებულ პროგრამასთან შედარებით, ახალ პროგრამაში მოხდა სასწავლო საგნების სემესტრებში გადაადგილება, რაც იყო სტუდენტების მოთხოვნით გამოწვეული და მათი თქმით გაადვილა მათთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალება და ზოგიერთი საგნის ათვისება. აღნიშნული საგნები სილაბუსით და შინაარსობრივად ერთმანეთთან მიბმული არ იყო, თუმცა წინა სემესტრის გამოცდილებამ აჩვენა რომ, სტუდენტებს სჭირდებოდათ ორივე საგანში მიღებული ცოდნის ერთობლივად გამოყენება. შესაბამისი ცვლილებები ახალ პროგრამასი გატვალისწინებულია და ექსპერტა აზრით აღნიშნული ცვლილება მხოლოდ ხელს შეუწყობს სწავლის ლოგიკურ განვითარებას.
წლიური ანგარიშები რეკომენდაციებისა და დასკვნების ჩათვლით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილება და შესაბამისი რეაგირებას ეძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- https://lmb.gipa.ge
- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შეფასება ხდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბოლო პერიოდში გავლილი საავტორიზაციო პროცესი ითვლება ამ სასწავლებლის ყველაზე ძლიერ გარე ხარისხის შეფასების მაგალითად. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის გაწერილი ბევრი რეკომენდაცია მყისიერად იყო გამოსწორებული, რაც კონკრეტულად აისახა სტუდენტებთან მიმართებაში. ზემოთ აღნიშნული დაადასტურეს სტუდენტებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმაც. ვიზიტის დროისთვის, ხაზი გაესვა უნივერსიტეტში ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებს რომელიც ავტორიზაციის რეკომენდაციებიდანაც გამომდინარეობდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღნიშნული იყო მანამდე არაერთხელ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა LMB - რომელიც წარმოადგენს ერთ ბაზაში გაერთიანებულ მრავალ ფუნქციას. ყველაფრის მიუხედავად ამ ბაზის მეშვეობით ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მათი შეფასებების ანალიზი. აგრეთვე აძლევს ყველა სტუდენტს აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციას კავშირს შიდა ელექტრონულ ბაზასთან სახლიდან გაუსვლელად. LMB პლატფორმა უკვე აღნიშნულია როგორც უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკა მე3 სტანდარტში.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით - (რაც შემდგომში მტკიცდება ვიზიტის დროს lmb პლატფორმის შიდა ინტერფეისის შემოწმებით ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან და სტუდენტებთან) :*„შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის იანვრიდან სტუდენტების მხრიდან ლექტორის ანონიმური შეფასების კითხვარი, ისევე როგორც ლექტორის მხრიდან ჯგუფის შეფასება და დახასიათება ინტეგრირებულია ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში - „LMB". პროცესის ოპტიმიზება, ერთის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და ლექტორებს ელექტრონულად შეავსონ აღნიშნული კითხვარები, ხოლო მეორეს მხრივ კითხვარების უნიფიცირება იძლევა მონაცემების უკეთესი ანალიზის და შედარების შესაძლებლობას, გამომდინარე ერთგვაროვანი მონაცემების არსებობიდან ".*

ვიზიტის დროს გამოიკვეთა განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათი ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებაში. სტუდენტები და კურსდამთავრებულები უშუალოდ იყვნენ ჩართული ახალი თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, რაც პროგრამის ახალი ვერსიის შემუშავების დროს იყო მიმართული თავისი კურსდამთავრებულებით ინდუსტრიის განვითარების და ზრდის მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

სტუდენტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს თავიანთი აზრის გამოხატვა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. მათ აქვთ საშუალება ანონიმურად ან პირდაპირ გამოხატონ თავიანთი ხედვა და დააფიქსირონ თავისი აზრი კონკრეტული საგნის, ლექტორის თუ ზოგადად პროგრამასთან მიმართებაში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- https://lmb.gipa.ge
- https://gipa.ge/geo/
- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, მოწვეულ პედაგოგებთან. აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან დამსაქმებლებთან / პოტენციურ დამსაქმებლებთან, შეხვედრა სტაჟირების განმახორციელებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნანა იაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო გუნია-კუზნეცოვა
სახელი, გვარი, ხელმოწერა - გიორგი ქურდიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - შოთა დოგრაშვილი